# ოქტომბრის ძლევამოსილი დროშით



დიდი ოქტომბრის ზეიმმა თავისი ნათელი ფერები ჩაწერა გვიანი შემოდგომის ოქროსფერ პალიტრაში. დემონსტრანტთა კოლონების თავზე მოფრიალე ალისფერი დროშები, ფეიერვერკების ფერად-ფერადი ცეცხლი, ტრანსპარანტები, ლამაზი პანოები... საბჭოთა ქვეყანამ, ჩვენმა უცხოელმა მეგობრებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ საზეიმოდ აღნიშნა ოქტომბრის 66-ე წლისთავი და დამაჯერებლად აჩვენა, რომ დიდი ოქტომბრის იდეები და საქმე ცოცხლობს პლანეტის მილიონობით ადამიანის გულებში.

ოქტომბრის ზეიმი აღინიშნა საბჭოთა ადამიანების შრომითი საქმიანობით, კომუნისტური აღმშენებლობის ახალი სიმაღლეების დაპყრობისკენ, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისკენ მათი მისწრაფებით.

საზეიმო დემონსტრაციაზე გამოვიდა საერთო მიზნით შედუღაბებული მილიონობით საბჭოთა ადამიანი, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი მუშა და სოფლის მშრომელი, მეცნიერი და კულტურის მოღვაწე, ვეტერანი და ახალგაზრდა, რომლებიც მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწევენ ახალ წარმატებებს იმ დიდი მიზნების განხორციელებაში, რომლისთვისაც მოხდა ოქტომბრის რევოლუცია.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66-ე წლისთავისადმი მიძღვნილი დემონსტრაცია მოსკოვში, წითელ მოედანზე (მარჯვნივ); ფიზკულტურელებისა და სპორტსმენთა გამოსვლა თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე ისინი გამოვიდნენ დევიზით — „სპორტი მშვიდობის დესპანია".

საკდესისა და ა. კოტორაშვილის ფოტო.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 215 (7526)

10 ნოემბერი, 1983 წ. ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან










# როცა არ გრძნობენ პასუხისმგებლობას...

გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფის სხდომა. სხდომამ განიხილა საკითხი თუ როგორ სრულდება ქ. ტყიბულის და მისი ზონის ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებში მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის მასობრივად გაშლისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 თებერვლის დადგენილება „რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლობის შესახებ".

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე აღინიშნა, რომ ტყიბულისა და მისი ზონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებებითა და დადგენილებებით, გარკვეულ მუშაობას ეწევიან მოსახლეობას შორის ფიზკულტურულ გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთა საერთო რაოდენობამ მიაღწია 14.276-ს. 1981-82 წლებში გადაჭარბებითაა შესრულებული მშთ ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმები. მიღწეული წარმატებებისა და სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაჩვენებლებისათვის ტყიბულისა და მისი ზონის ფიზკულტურული ორგანიზაციები ზედიზედ ორი წელია ჯილდოვდება საქართველოს სპორტკომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

## დადგენილება... ქაღალდზე რჩება

ამავე დროს რეგიონში მიღწეული წარმატებები არ გამოხატავს იმ პირობებსა და შესაძლებლობებს, რაც აქ არის როგორც რეალურად, ისე რეზერვების სახით. ფიზკულტურულ კოლექტივებში, საცხოვრებელ ადგილებში ჯეროვან დონემდე არ აუყვანიათ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციალური როლი და ფუნქცია.

ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სპორტულ ორგანიზაციებში მოისუსტებს პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, დაბალია საშემსრულებლო დისციპლინა. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მკაფიოდ გამოიკვეთა ის აზრი, რომ საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტი, მასთან არსებული დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისია, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი, კომკავშირის საქალაქო კომიტეტი და პროფკავშირული ორგანიზაციები სათანადოდ არ აფასებენ მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის ეკონომიკურ და სოციალურ მნიშვნელობას, მის აღმზრდელობით როლს. არ იგრძნობა მათი აქტივობა ამ სფეროში დისციპლინის დარღვევების, ნეგატიური მოვლენებისა და სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრა-პროფილაქტიკისათვის. ყოველივე ეს აფერხებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ტემპებს, ამცირებს ამ რეგიონის წვლილს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში. ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას საერთოდ არ განუხილავს პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გარდაქმნას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მხრიდან უკონტროლობისა და მომთხოვნელობის შესუსტების შედეგად შეუსრულებელი რჩება ადრე მიღებული გადაწყვეტილებები. მაგალითად, არ შესრულდა დადგენილება საცურაო აუზის გათბობის, ტყიბულის წყალსაცავზე ელინგის მშენებლობის, ლენინისა და სტალინის სახელობის შახტებში სპორტული კომპლექსების შეკეთების, ცენტრალურ სტადიონზე მძლეოსნური ბილიკებისა და სექტორების კეთილმოწყობის შესახებ. ეჭვს კოლმეურნეობაში არ გაუშენებიათ მარტივი ტიპის სპორტული ბაზები. ადრე მიღებული დადგენილებების შესრულებისადმი პარტიული კონტროლი რომ არ მოდუნებულიყო და „საქნახშირის" კომბინატის ხელმძღვანელობის მიმართ მეტი მომთხოვნელობა გამოეჩინათ, 1970 წლიდან აღარ გაჭიანურდებოდა საცურაო აუზის კეთილმოწყობის საკითხი. პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის დამოკიდებულება დიდმნიშვნელოვანი საკითხებისადმი და გადასაჭრელი პრობლემებისადმი ხშირად შემრიგებლურია. არ იგრძნობა ინიციატივა და გამუდმებული ზრუნვა შინაგანი რეზერვების გამოვლენა-ამოქმედებისათვის. ხშირ შემთხვევაში უკონტროლობა, უპრინციპობა და მიშვებულობა ამუხრუჭებს საერთო საქმეს, ქმნის რეგიონში მოჩვენებითი კეთილდღეობის ატმოსფეროს.

## კვლავ ფორმალიზმის ტყვეობაში

ქალაქის სპორტკომიტეტი (თავმჯდომარე ვ. მერკვილაძე) წლიურ სტატისტიკურ ანგარიშს, რომელიც რეგიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ამსახველი ძირითადი დოკუმენტია, შეუმოწმებელი მონაცემების საფუძველზე ადგენს. მიწერები და თვალის ახვევის ფაქტები განსაკუთრებით შეიმჩნევა ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროში, როგორიცაა მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობა, საწარმოო ტანვარჯიში და მთ ფიზკულტურული კომპლექსი. აქ მომეცადინეთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საალრიცხვო დოკუმენტებშია ნაჩვენები. მაგალითად, ისეთ მრავალრიცხოვან კოლექტივებში, როგორიცაა ტყიბულის შახტები, [illegible] ნაცემები საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულთა შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს. ვარჯიშები ფაქტობრივად მხოლოდ შახტების სამმართველოს თანამშრომლებთან ტარდება. აღრიცხვიანობაში უზუსტობა და მიწერები აღმოჩნდა ტყიბულის


(დასასრული მე-2 გვ.)


## საქართველოს სპორტკომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივის [illegible] უფროს მწვრთნელად დანიშნა სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით ყიფიანი.

# ᲠᲝᲪᲐ ᲐᲠ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲜ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ...



ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

საწარმოო კომბინატის, სოფელ საწირისა და სოფელ ცუცხვათის კოლმეურნეობებში. რეგიონში არ ტარდება საოჯახო სპარტაკიადები და შეჯიბრებები ბრიგადებს შორის. მშთ ნიშნოსნები ბევრგან მზადდება ცურვის გარეშე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მაღალ კლა- [illegible]

## ᲒᲔᲒᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲐᲕᲚᲘᲗ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილებაში „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ“ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ფი- [illegible]

[illegible] ...ის მეუფასებლობას. ეს მიზანი შრომისნაყოფიერების ამაღლების მძლავრ რეზერვზე შეგნებულად უარის თქმას.

## ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲔᲑᲗ

სხდომაზე გააკრიტიკეს ტყიბულის შახტმშენის სამმართველოს (უფროსი ი. ლომია, პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ქურციკიძე, ფიზკულტურის მეთოდისტი გ. ქარქაშაძე), საქნახშირის № 2 აღმოსავლეთი შახტის (ა. ჯაჯანიძე, ნ. ბაკურაძე, ა. კუბლაშვილი), ორჯონიკიძის სახელობის შახტის (გ. გურეშიძე, ნ. კბილაძე, გ. ქახრაშვილი) კოლექტივები, სადაც, მართალია, მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს, მაგრამ ისეთ მნიშვნელოვან უბანზე, როგორიცაა მეშახტეთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობა, თითქმის [illegible]

გამაჯანსაღებელი მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

სამართლიანად ითქვა ისიც, რომ მუშაობაში გეგმიანობის გვე- [illegible]

და მოზარდთა სპორტული სკოლის (დირექტორი ნ. ჯიხვაშვილი) მწვრთნელ მასწავლებელთა ხუსტი მუშაობით. სკოლა მაღალი თანრიგის [illegible]

მათი ოჯახის წევრთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ცენტრად. გამაჯანსაღებელი ჯგუფები მუშაობს მხოლოდ სპორტის [illegible]

[illegible] ...რაშვილი) ბევრი კომუნისტი მუშაობს, მაგრამ ისინი არავითარ დაინტერესებას არ იჩენენ, რათა ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად გარდაიქმნას. პირველად პარტიულ ორგანიზაციებს ერთხელაც არ განუხილავთ კოლექტივებში ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობის საკითხი. ამის შემდეგ არცაა გასაკვირი, რომ აღნიშნულ კოლექტივებში მუშაობა ჩაშლილია. აქედან გამომდინარე, სავჭვოა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებების შესრულების რეალობა.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დაისვა საკითხი, რომ აუცილებელია მეშახტეთა და მათი ოჯახების წევრთა ფიზკულტურულ-სპორტულ და გამაჯანსაღებელ მუშაობაში მოსაზიდად შემუშავდეს სპეციალური რეკომენდაციები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება როგორც რეგიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ისე მეშახტეთა შრომის ხასიათი. ამ საქმეში, როგორც სხდომაზე აღინიშნა, თავისი სიტყვა უნდა თქვან ფიზკულტურის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა, სპორტულ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოების მეთოდურმა კომისიებმა.

## ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ?

ტყიბულისა და მისი ზონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების [illegible]





აგრეთვე სპორტული ინვენტარის ნაკლებობა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბევრგან არ აქვთ ტანვარჯიშული იარაღები და სხვა სპორტული ინვენტარი.

## ᲛᲝᲣᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲢᲕᲘᲠᲗᲐᲕᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲔᲑᲘ

ტყიბულის სპორტულ ბაზებზე განუკითხაობა სუფევს. სამარცხვინო მდგომარეობაშია შახტების სპორტული მოედნები, ცენტრალური სტადიონის მძლეოსნურ ბილიკებზე და სექტორებზე ბალახია ამოსული. საცურაო აუზი, რომელიც ჯერ კიდევ ამ 25 წლის წინათ აიგო, მხოლოდ ზაფხულის თვეებში მუშაობს. დღემდე ვერ გადაიჭრა აუზში წყლის გათბობის საკითხი. სამუშაო ჯგუფის სხდომის წევრებმა ყურადღება მიაპყრეს იმ ფაქტს, რომ აუზის მომსახურე პერსონალზე, მიუხედავად იმისა, რომ ბაზა მხოლოდ სეზონურად, რამდენიმე თვე მუშაობს, ხელფასი გაიცემა მთე- [illegible]

მელთა და ახალგაზრდობის მოთხოვნაზე, რათა ჩაის ყოფილი ფაბრიკის კლუბი გადაკეთდეს სპორტულ დარბაზად; სოფელში კი გაიხსნას ბავშვთა სასოფლო სპორტული სკოლა. დაისვა საკითხი იმის შესახებაც, რომ ტყიბულის № 5 საშუალო სკოლა, რომლის პირობები და შესაძლებლობები სავსებით უპასუხებს სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოთხოვნებს, გადაკეთდეს სპორტული პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლად. ეს საშუალებას მისცემს ქალაქს და სკოლას უფრო ეფექტურად გამოიყენონ რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო სპორტული კომპლექსი.

## ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲗᲐᲕᲡᲔᲑᲔᲑᲘ

იმ 70 მუშაკიდან, რომლებიც რეგიონში უძღვებიან ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას, უმაღლესი განათლება მხოლოდ 30-ს აქვს. 50-ზე მეტი ფიზკულტურუ- [illegible]

## ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡᲐᲪ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲜᲐᲖᲝᲒᲐᲓᲔᲑᲔᲜ

სამუშაო ჯგუფმა ყურადღება მიაპყრო ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის დაბალ დონეს. პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტი და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ლექციურ პროპაგანდაში ნაკლებ ადგილს უთმობენ [illegible]

პრესის ფურცლებზე არ გამოდიან ფიზკულტურისა და სპორტის ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები, პარტიული და კომკავშირული მუშაკები. გაზეთში სრულად არ აისახება ის წარმატებებიც კი, რასაც ტყიბულისა და მისი ზონის ფიზკულტურულ-სპორტულმა მოძრაობამ მიაღწია.

სამუშაო ჯგუფის სხდომამ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა ქ. ტყიბულისა და მისი ზონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მიერ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 24 თებერვლის დადგენილებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესასრულებლად გაწეული მუშაობა.

პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტს დაევალა უმოკლეს ვადაში განახორციელოს ქმედითი და ეფექტური ღონისძიებები ამ რეგიონში ფიზკულტურულ-სპო- [illegible]







# ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲔᲜ

**ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ** ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ბრძოლის განახლების ჟამიც დადგა. ხვალ, 11 ნოემბერს აგარაკ დაგომისში (სოჭის მახლობლად) დაიწყება ნ. იოსელიანისა და ლ. სემიონოვას (კიევი) მატჩი, 13 ნოემბერს კი ქალაქ დუბნაში (მოსკოვის ახლოს) — ნ. ალექსანდრიასა და ი. ლევიტინას ორთაბრძოლა. ამ შეხვედრებში უნდა გამოვლინდნენ პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილენი.

თითოეულ მატჩში გათამაშდება 10 პარტია. გამარჯვებისთვის საჭიროა 5,5 ქულის მოგროვება. ყაიმის (5:5) შემთხვევაში დამატებით ოთხი პარტია დაინიშნება. თუ ამ შეხვედრებმაც ვერ გამოავლინეს გამარჯვებული, მაშინ მას კენჭისყრა დაასახელებს.



Ნ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ



Ლ. ᲡᲔᲛᲘᲝᲜᲝᲕᲐ



Ნ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ



Ი. ᲚᲔᲕᲘᲢᲘᲜᲐ

## ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

**ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ** გულშემატკივრები მიეჩვივნენ, რომ ამ ბოლო დროს ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის ბედი ქართველ დიდოსტატთა პაექრობაში წყდება. ასე იყო 1978, 1979 და 1981 წლებში. 1981 წელს პრეტენდენტთა ბრძოლის დასკვნით ეტაპზე ფინალურ მატჩშიც ქართველი მოჭადრაკეები ალექსანდრია და იოსელიანი შეხვდნენ ერთმანეთს. დღესაც არ არის გამორიცხული, რომ ისევ მათ შორის მოხდეს მაია ჩიბურდანიძის მომავალი მეტოქის ვინაობის გარკვევა.

პროგნოზებს არ შევუდგებით, რადგან ამჯერად ძალიან ძნელია ვანჭვრიტო ამ ორთაბრძოლების შედეგი. ორივე მატჩში ღირსეული მეტოქენი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

21 წლის ნანა იოსელიანი ერუდირებული, გამოცდილი და ბრძოლისუნარიანი მოჭადრაკეა. წინა გათამაშებაში ნანამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მერე ორჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი, გაიმარჯვა ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაში.

იოსელიანმა ჩინელ ლიუ შილანთან მეოთხედფინალურ მატჩში ბრწყინვალე საბრძოლო თვისებები გამოავლინა და გაიმარჯვა ანგარიშით 6:3.

32 წლის ლიდია სემიონოვას ცოდნა და გამოცდილება არ აკლია, თუმცა მსოფლიო პირველობის დონეზე პირველად გამოდის. მიუხედავად ამისა, მან წარმატებით დასძლია საზონათშორისო ტურნირი, მერე მოიგო მეოთხედფინალური მატჩი, სადაც რუმინელ მ. მურეშანს შეხვდა. სწორედ ამ ორთაბრძოლაში გამოამჟღავნა კიეველმა დიდოსტატმა მებრძოლი სული. როცა მატჩის ბედი თითქოს მის სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი, მოულოდნელად ორი პარტია წააგო, გამარჯვება სათუო შეიქმნა. კრიტიკულ სიტუაციაში შეძლო მობილიზება და მატჩის მოგება.

სემიონოვა იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, მას გაუმარჯვია რუმინეთის და უნგრეთის საერთაშორისო ტურნირებში, ამიტომაც ძალიან სახიფათო მეტოქეა.

იოსელიანი და სემიონოვა ბევრჯერ მსხდარან საჭადრაკო დაფასთან ერთმანეთის პირისპირ. ერთსაც და მეორესაც გაუმარჯვია, მაგრამ მათი ბოლო შეხვედრა, რომელიც 1981 წლის შემოდგომაზე სსრ კავშირის ჩემპიონატში შედგა, ქართველმა დიდოსტატმა მოიგო,

დაგომისის მატჩში მთავარი მსაჯია ცნობილი მოსკოველი მოჭადრაკე და საზოგადო მოღვაწე, საერთაშორისო არბიტრი ვერა ტიხომიროვა.

ნანას სეკუნდანტობას გაუწევს მისი მუდმივი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, დიდოსტატი ბ. გურგენიძე, მწვრთნელობას — მოსკოველი თეორეტიკოსი და ოსტატი ვ. ლეპიოშკინი. სემიონოვას სეკუნდანტი იქნება დიდოსტატი გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი), მწვრთნელი კი კიეველი ოსტატი ა. მინკოვსკი.

ძნელია გამოიცნო ალექსანდრია-ლევიტინას მატჩის შედეგი — ორივე დიდოსტატი ხომ სპორტული და შემოქმედებითი მიღწევების ზენიტშია.

ალექსანდრიამ 1981 წელს ყაიმით დაასრულა მატჩი მსოფლიო ჩემპიონთან. შემდეგ ნანამ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის პირველი პრიზი დაისაკუთრა.

ალექსანდრია ყოველთვის სერიოზულად, მუყაითად ემზადება შეჯიბრებისთვის. სწორედ ამან მოუტანა მას გამარჯვება მეოთხედფინალურ მატჩში დიდოსტატ ტ. ლემაჩკოსთან (5,5:4.5). ნანამ ახლაც დაუღლელად იმეცადინა და პრაქტიკულადაც ივარჯიშა: ორი საწვრთნელი მატჩი გამართა.

34 წლის ალექსანდრია 16 წელია მონაწილეობს მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირებსა და მატჩებში და კარგად იცის ამ დონეზე თითოეული შეხვედრის მნიშვნელობა. მას, ბუნებით ოპტიმისტს, ახლაც სჯერა, რომ მრისხანე მეტოქეს სძლევს.

29 წლის ირინა ლევიტინაც დიდი გამოცდილების მოჭადრაკეა, მსოფლიო პირველობის გათამაშებაში მონაწილეობს 1972 წლიდან, არის სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი.

ლევიტინამ დიდი სტიმული მიიღო მეოთხედფინალურ მატჩში სწორუპოვარ ნ. გაფრინდაშვილთან გამარჯვებით. ეს იყო ამაღელვებელი ჭიდილი, რომელშიც ყაიმით ერთი პარტიაც არ დამთავრებულა, ლევიტინამ 6 შეხვედრა მოიგო და 4 წააგო.

ახლახან ალექსანდრიასა და ლევიტინას სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება მიეკუთვნათ. ეს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მათს პაექრობას.

ალექსანდრია და ლევიტინა ბევრჯერ ყოფილან ერთმანეთის მეტოქენი. მათ 1975 წელს ითამაშეს პრეტენდენტთა ფინალური მატჩი, რომელიც მოიგო ალექსანდრიამ ანგარიშით 9:8. მათ ითამაშეს პარტიების სარეკორდო რაოდენობა (17), რაც თვით მსოფლიო პირველობისათვის მატჩშიც არ ჩატარებულა. მათი ბოლო შეხვედრა, 1983 წლის ზამთარში ქალაქ იაიცეს საერთაშორისო ტურნირში, ლევიტინას გამარჯვებით დამთავრდა.

ალექსანდრიას დუბნაში დახმარებას გაუწევენ მისი მუდმივი მწვრთნელი თბილისელი ოსტატი დ. ჯანოევი და საერთაშორისო ოსტატი მ. დვორეცკი (მოსკოვი), რომელიც სეკუნდანტი იქნება.

როგორც ყოველთვის, ლევიტინას სეკუნდანტია მისი მუდმივი მწვრთნელი ლენინგრადელი ოსტატი პ. კონდრატიევი.

ორივე დიდოსტატთან შეთანხმებით მთავარ მსაჯად მიწვეულია ცნობილი ესტონელი საერთაშორისო არბიტრი ლ. ვაჰესაარი.

ჭადრაკის სამყარო, ფართო საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ხვდება გამოჩენილი დიდოსტატების ორთაბრძოლების სტარტს.

**Თ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.**

**ᲛᲔᲡᲐᲛᲔ** ათეული წელია, რაც საჭადრაკო სამყაროს ქართველ მოჭადრაკე ქალთა ფენომენი აღაფრთოვანებს და თბილისი მსოფლიო ჩემპიონის სატახტო ქალაქად რჩება. ჩვენმა მოჭადრაკე ქალებმა, პირველ ყოვლისა, მათმა გზამკვლევმა ნონა გაფრინდაშვილმა და მსოფლიოს ახლანდელმა ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქალთა საჭადრაკო ხელოვნება, მთელს პლანეტაზე განადიდეს ჭადრაკის ბრძნული თამაში.

ქართული საჭადრაკო სკოლის გულშემატკივრებს და ქომაგებს განსაკუთრებით გვახარებს, რომ მსოფლიო პირველობისთვის ნახევარფინალურ მატჩში ორი შესანიშნავი ქართველი მოჭადრაკე ქალი ნანა ალექსანდრია და ნანა იოსელიანი იბრძოლებენ.

სპორტის ქომაგებისთვის ყველაზე მეტად საამაყოა ის, რომ ქართული საჭადრაკო სკოლის ტრადიციები, რომელიც ეროვნულ ბალავარზეა დაფუძნებული, სულ უფრო მტკიცდება. ალექსანდრიამ და იოსელიანმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ჭადრაკის განვითარებაში. და ეს მხოლოდ ჩვენს რესპუბლიკაზე როდი ითქმის. როცა ქართველ მოჭადრაკე ქალებზე ვლაპარაკობთ და ხაზს ვუსვამთ მათ ნიჭიერებას, თვალწინ ცოცხლდება შორეული წარსულიც.

# ᲒᲕᲯᲔᲠᲐ

ალექსანდრია და იოსელიანი... ორი ქართველი მოჭადრაკე ქალი, ორი შესანიშნავი ადამიანი, ორი დედა. ესეც ბევრზე მეტყველებს. ოდითგან ქართველი ქალი პირნათლად იხდიდა თავის მოვალეობას ქვეყნისა და ხალხის წინაშე, შესანიშნავად უხამებდა ერთმანეთს საზოგადო და საოჯახო საქმეს. დიდი ხანი არაა, რაც ნანა იოსელიანი დედა გახდა. გაჩნდა ახალი სიცოცხლე, ახალი საზრუნავი. ამდენად, ცხადია, იოსელიანისათვის პრეტენდენტთა მატჩში მონაწილეობა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. და მაინც, ვფიქრობთ, რომ ნანა შეეცდება თავისი ნიჭის დამფასებლებს კვლავ მოჰგვაროს სიხარული.

ლიდია სემიონოვას ბრძოლის დიდი უნარი ახასიათებს. იგი დაჯერებულია თავის ძალებში და კრიტიკულ სიტუაციაში არ კარგავს წონასწორობას. ამიტომ იოსელიანი — სემიონოვას მატჩი უშეღავათო ბრძოლას გვპირდება.

ლევიტინა. — ალექსანდრიას მატჩზეც ვერ იტყვი ვინ გაიმარჯვებს. ორივე დიდი შემართების დიდოსტატია. ისინი საგულდაგულოდ ემზადებოდნენ მომავალი შეხვედრისათვის. აგვისტოში ალექსანდრიამ შესანიშნავად იასპარეზა რუმინეთში გამართულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც პირველი ადგილი დიდი უპირატესობით გაინაღდა. ლევიტინამ თავისი შესაძლებლობები გამოავლინა სსრ კავშირის ხალხთა საზაფხულო სპარტაკიადაში. სოჭში გამართულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში კი ძირითადად პრეტენდენტთა მატჩის ნახევარფინალისთვის მზადების გეგმით ხელმძღვანელობდა. თამაშობდა დინჯად, მობილიზებულად.

დიდი მნიშვნელობა აქვს საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის მოჭადრაკეების მზადებას. საქართველოს სპორტკომიტეტმა და უმაღლესი დაოსტატების რესპუბლიკის № 1 სკოლამ დიდად შეუწყვეს ხელი ჩვენს დიდოსტატებს მეცადინეობისა და დასვენების სწორად ორგანიზაციაში. გაკეთდა ყველაფერი, რაც აუცილებელი და საჭირო იყო ორთაბრძოლებისთვის მათს მოსამზადებლად.

იმედი გვაქვს, ყველას გვჯერა, რომ ალექსანდრია და იოსელიანი მაქსიმალურად გამოავლენენ თავიანთ სანაქებო ნიჭს, მებრძოლ ხასიათს და კიდევ ერთხელ გაახარებენ გულშემატკივრებს.

**Გ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ,**
**საქართველოს სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების გამგე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო არბიტრი.**

## ლიდერობენ

**ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐᲨᲘ** მიმდინარე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში 4 ტურის შემდეგ ლიდერობენ მსოფლიო ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე და მისი მწვრთნელი დიდოსტატი ე. გუფელდი — 2,5-2,5 ქულა. მაიამ ერთი პარტია მოიგო და სამი ყაიმით დაამთავრა.

## ბაქოს ტურნირზე

**ᲑᲐᲥᲝᲨᲘ,** საერთაშორისო ტურნირზე დამთავრდა გადადებული პარტიები. ორი შეხვედრა მოიგო ახალგაზრდა სევასტოპოლელმა ოსტატმა ვ. მალანიუკმა. დაამარცხა ბულგარელი მოჭადრაკეები ნ. კიროვი და ტ. ტოშკოვი.

ორი პარტია ჰქონდათ დასამთავრებელი ახალგაზრდა ინგლისელ ოსტატ ნ. შორტს და დიდოსტატ მ. ტაიმანოვს. შორტმა მოუგო ფ. სიდეიფზადეს (ბაქო), ტაიმანოვი დაუზავდა პ. ვან დერ სტერენს (ჰოლანდია), მაგრამ ტაიმანოვ-შორტის პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

ნ. რაშკოვსკიმ (ალმა-ათა) სძლია კიროვს. ყაიმზე შეთანხმდნენ ა. მიხალჩიშინი (ლვოვი) — ა. ჰუსეინოვი (ბაქო), ო. ცვიტანი (იუგოსლავია) — კიროვი, ჯ. სპილმენი (ინგლისი) — ვან დერ სტერენი.

4 ტურის შემდეგ დაწინაურდა ვ. მალანიუკი — 3 ქულა.

# 7 დეკემბერს თბილისში

**სპორტსაზოგადოება** „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელობისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელის კ. ბესკოვის პირადი თხოვნის შესაბამისად უეფა-ს თასის საპასუხო მერვედფინალური მატჩი მოსკოვის „სპარტაკსა“ და როტერდამის „სპარტას“ (ჰოლანდია) შორის 7 დეკემბერს გაიმართება თბილისში.

# I ლიგის საგზურისთვის

**8 ნოემბერს** ქუიბიშევში გაიმართა მორიგი მატჩი II ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდებისა, რომლებიც იბრძვიან საგაისოდ I ლიგის საგზურის მოსაპოვებლად. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კრილია სოვეტოვი“ და ფერგანის „ნეფტიანიკი“.

დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა „კრილია სოვეტოვმა“ — 1:0.

ამჟამად ამ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კრ. სოვეტოვი“ | 3 | 2 | 1 | 0 | 3—1 | 5 |
| „დინამო“ ბ. | 3 | 1 | 1 | 1 | 2—1 | 3 |
| „ნეფტიანიკი“ | 4 | 0 | 2 | 2 | 1—4 | 2 |

როგორც ხედავთ, ფერგანის „ნეფტიანიკმა“ დაამთავრა თამაშები და ვეღარ იბრძოლებს პირველი ადგილისთვის. გამარჯვების პრეტენდენტები არიან ქუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ და ბათუმის „დინამო“. 12 ნოემბერს ბათუმელები შინ მიიღებენ მეტოქეს. დინამოელთათვის საკმარისია მატჩის მოგება თუნდაც ანგარიშით 1:0 და ისინიც, „კრილია სოვეტოვის“ მსგავსად, დააგროვებენ 5 ქულას. გათამაშების დებულებით ბათუმის „დინამო“ პირველ ადგილზე გავა, ვინაიდან ორივე პრეტენდენტს ჯგუფში მოგებათა თანაბარი რაოდენობა ექნება და ერთმანეთთან ნათამაშევ მატჩებშიც, აგრეთვე, ერთნაირი მაჩვენებლები, მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების საერთო სხვაობა ბათუმის „დინამოს“ უკეთესი ექნება: 3—1, ხოლო „კრილია სოვეტოვს“ 3—2. ასე რომ, ყველაფერს გადაწყვეტს 12 ნოემბრის მატჩი ბათუმში.

# სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს სსრ კავშირის 1983 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო ტურის ტექნიკური მონაცემები:

**„ტორპედო“ (მოსკოვი)—„ნეფთჩი“ 0:0.**

გააფრთხილეს ტორპედოელი ფეხბურთელები პრიგოდა და ქუპრიკოვი.

დუბლიორები — 1:1.

**„შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:1 (0:0).**

დონეცკელთა კარში ბურთი გაიტანა კაპუსტინმა.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ა. მილჩენკო, გ. გაბისკირია (ორივე — სოხუმი), ე. ფურცელაძე (თბილისი).

დუბლიორები — 2:1.

**„ნისტრუ“ — „ჩერნომორეცი“ 1:4 (0:2).** გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს პლოსკინამ (პენალტი), ნაკონეჩნიმ, ბელანოვმა და ფინკმა, ხოლო „ნისტრუს“ მხრივ — ტურიანჩიკმა.

დუბლიორები — 1:0.

**„ჟალგირისი“ — „ზენიტი“ 0:1 (0:0).** ბურთი გაიტანა კლემენტიევმა.

გააფრთხილეს ზენიტელები ზოლინი და დოლგოპოლოვი და ვილნიუსელი კასპარავიჩუსი.

დუბლიორები — 0:2.

**„მეტალისტი“ — „არარატი“ 0:0.**

დუბლიორები — 2:0.

**„დინამო“ (მინსკი) — „ფახთაქორი“ 2:1 (0:0).** მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს კურნენინმა და ვასილევსკიმ, სტუმართაგან — რახიმოვმა.

დუბლიორები — 2:1.

ცსკა-სა და თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ცსკა-ს გამარჯვებით — 2:0.

## 10 ნოემბერი საბჭოთა მილიციის დღეა



# გული გულადვე რჩება

**პატარა** შავთვალება ბიჭი დილიდან საღამომდე დასდევს ბურთს, თავდავიწყებით თამაშობს ლახტსა და გრძელ ვირს, თავისი ტოლებივით გამორჩევით უყვარს სათავგადასავლო და დეტექტური წიგნები, ჭიდაობის სიყვარული ხომ ყველა ქართლელივით ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, მაგრამ ყველაზე უფრო საინჟინრო საქმე იტაცებს, დიდი და ლამაზი სახლების შენების სურვილი სიზმარ-ცხადად აქვს გადაქცეული. იქამდე კი, ვიდრე ცხოვრების ჭეშმარიტ სავალს ამოირჩევს, ბევრი წყალი ჩაივლის, ბევრი რამ შეიცვლება ბიჭის სუფთა და ნახევრადზღაპრულ ოცნებაში, თანდაყოლილი — დიდი და კეთილი საქმეების კეთების სურვილი კი უცვლელი და ხელუხლებელი დარჩება, უფრო მეტიც — ცხოვრების წესად იქცევა...

თხუთმეტიოდე წლის შემდეგ, ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე, იაპონიის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ისაო ინოკუმა იტყვის: „ძიუდომ საყოველთაო აღიარება მოიპოვა, თუმცა, რამდენადაც სასიხარულოა ეს ფაქტი, იმდენად მაწუხებს ერთი ტენდენცია. თითქმის ყველგან და თქვენშიც როგორღაც ძალას ანიჭებენ პრიორიტეტს, არადა, ძიუდოში პირველყოვლისა ტექნიკაა მთავარი. მხოლოდ ხარშილაძეზე ვერ ვიტყვი ამას. რამაზი ტექნიკურია, ჭკვიანი. — მერე ინოკუმამ მკერდზე დაიდო ხელი, — ჭეშმარიტი ძიუდოისტის გული აქვს“.

ვინ ვინ და, სპეციალისტებმა კარგად იციან რას ნიშნავს ამგვარი შეფასება, მით უფრო, თუ მას ინოკუმა იძლევა.

ცნება „ძიუდოისტის გული“ კი ალბათ უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ამ სიტყვებითაა ნათქვამი. აქ იგულისხმება სპორტის გულშემატკივრის ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რომელიც მუდამ თან ახლდა რამაზ ხარშილაძის გამოსვლას თბილისში თუ საზღვარგარეთ, იგულისხმება მისი გამორჩეულად „ქართული ძიუდო“, განსაცვიფრებლად პატიოსანი და ვაჟკაცური შერკინება ნებისმიერი ძალისა და ტიტულების მქონე ფალავნებთან...

ბავშვობა ხაშურის რაიონის სოფელ ნაცარგორაში გაატარა. ვინ შეაყვარა ჭიდაობა? კონკრეტულად არავინ, ალბათ უფრო სოფელმა, ხალხმა, თუმცა, არა, მწვრთნელიც ჰყავდა. ზურაბ მოსეშვილმა დააკვალიანა ყმაწვილის გატაცება, სწორი გეზი და ორიენტაცია მისცა და ახლა რომ რამაზ ხარშილაძე უამრავ სპორტულ ტიტულს ფლობს, იმ პირველი ოსტატის დამსახურებადაც მიაჩნია.

„ჩემს ბავშვობაში თითქმის ყოველ საღამოს ვიკრიბებოდით სოფლის ცენტრში. იყო ერთი მხიარულება, რაღა თქმა უნდა, ვჭიდაობდით კიდეც. ვეჭიდებოდით ტოლებსაც და ჩვენზე დიდებსაც. მახსოვს, ერთხელ მეზობელ სოფელ ალიში ვიყავით. ცამეტი-თოთხმეტი წლის ვიქნებოდი. წავაქციე ყველა ჩემი ტოლი და რამდენიმე კაციც. ვხედავ, ერთი ვეებერთელა, დევივით კაცი მოდის. შოფერი ყოფილიყო. მე თუ დამეჭიდებიო, მკითხა. როგორ არა-მეთქი. ტანისამოსი მისი მანქანის კიბის საფეხურზე დავაწყე და წრეში შევედი. ახლა არ ვიცი როგორ და რა ილეთით, მაგრამ, რომ წავაქციე, ეს კი აშკარა იყო — სულ მალე გარშემორტყმული ხალხის ყიჟინა გავიგონე. უცებ დავინახე: ჩემი კოპებშეკრული, გულმოსული მეტოქე მოდის ჩემკენ და მეკითხება: ეს შენ წამაქციეო? ახლა კი გვარიანად შემეშინდა. თვალისდახამხამებაში მოვკრიფე ტანისამოსი და ჩემს სოფლამდე შვიდი კილომეტრი ტრუსის ამარამ ვირბინე“.

ეს ეპიზოდი რამაზ ხარშილაძის არცთუ შორეული ბავშვობისაა, არცთუ შორეული, რადგან ის ახლა სულ 32 წლისაა, არის საბჭოთა კავშირის ცხრაგზის და სპარტაკიადის ორგზის ჩემპიონი, სამგზის ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი, მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი, 35 საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

შარშან, თებერვალში, ძიუდოს ტრადიციულ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ვალმოხდილი და ღვაწლმოსილი რამაზ ხარშილაძე გამოეთხოვა აქტიურ სპორტს. მადლიერმა გულშემატკივარმა ახალი გზასავალი დაულოცა საყვარელ ფალავანს.

ახლა სპორტის დამსახურებული ოსტატი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი რამაზ ხარშილაძე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტია.

„რთული და საინტერესოა მილიციის მუშაკის საქმიანობა. ჩვენი ცხოვრების ყოველი დღე სავსეა მოულოდნელობით, ხიფათით, ზოგჯერ სიცოცხლისათვის საშიში მოვლენებითაც. მაგრამ სწორედ ამ დროს ჩანს ჩვენი ხასიათი — რაც უფრო მეტ შეუპოვრობას და დანაშაულთან შეურიგებლობას გამოვიჩენთ, მით უფრო პირნათელი ვიქნებით საკუთარი თავის, ერის, ქვეყნის წინაშე. როცა საკუთარ თავთან მარტო დავრჩები და ჩემს ახალ საქმიანობაზე ვფიქრობ, ხშირად მახსენდება დიდი სახლების შენების ბავშვობისდროინდელი სურვილი, ლამაზად ნაგებ შენობასაც გულგრილად ვერ ვუყურებ, მაგრამ არჩევანის გამო გული ნამდვილად არ მწყდება: ის, რასაც ახლა ვაკეთებ, ჭკუადამჯდარი კაცის ცივი გონებით განსჯილი და გადაწყვეტილია“.

ალალმართლობა, პირნათელობა და უანგარობა დაისახა ცხოვრების მიზნად, წყნარად და უპრეტენზიოდ ემსახურება ხალხს, რადგან იცის — ებრძოლო დანაშაულს, დაიცვა საზოგადოების ლოდი, ხალისიანი და უშფოთველი ცხოვრება — დიდი და კეთილი საქმეა.

**ნ. ჯოხარიძე.**

**ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მონრეალის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი რამაზ ხარშილაძე.**
**ხ. ვართანიანცის ფოტო.**



ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნიდან — გ. პეტრიაშვილი, შ. ფიცხელაური და ბ. მჭედლიშვილი.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

**სპორტის** მოყვარულები კარგად იცნობენ მათ — გურამ პეტრიაშვილს — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ნახევარმცველს, სსრ კავშირის ჩემპიონსა (1964 წ.) და ბრინჯაოს მედლების 5-გზის მფლობელს; შენგელი ფიცხელაურს — მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს, ევროპის ორგზის ჩემპიონს, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონს, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულს ჭიდაობა ძიუდოსა და სამბოში; ბესო მჭედლიშვილს — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის ნახევარმცველს, ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, სსრ კავშირის თასის ფინალისტს (1970).

მეგობრები და კოლეგები სპორტშიც და ახალ სარბიელზეც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლები უფროსი ინსპექტორი, მაიორი გ. პეტრიაშვილი და ამავე სამმართველოს მილიციის უფროსი ლეიტენანტი ბ. მჭედლიშვილი ამას წინათ სტუმრად ეწვივნენ ახმეტის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსად ახლახან დანიშნულ მილიციის კაპიტანს შ. ფიცხელაურს. ახალ სამოღვაწეო ასპარეზზე რჩევა-დარიგებებისა და ერთიმეორისთვის გამოცდილების გაზიარების გარდა ყოფილ სპორტსმენებს გარდახდილ ბატალიებზეც ბევრი მოსაგონარი ჰქონდათ.

# „აჭარიდან“ ვაჟა-ფშაველამდე...

**ალბათ** შეგიმჩნევიათ: თბილისში, სასტუმრო „აჭარიდან“ ვაჟა-ფშაველას გამზირის დასაწყისამდე მილიციის ფორმაში გამოწყობილი სანდომიანი სახის გოგონები დგანან. მანქანების ვეებერთელა ნაკადში მოქცეულნი, ისინი დილიდან შუაღამემდე აწესრიგებენ ინტენსიურ მოძრაობას.

დრომ მოიტანა და ახლა აღარავინ ამბობს: ეს და ეს პროფესია მამაკაცურია, ეს კი მხოლოდ ქალს შეშვენისო. დღეს ქალები და მამაკაცები ერთნაირი წარმატებით ხატავენ, იკვლევენ, აშენებენ, წვრთნიან, კურნავენ... თუმცა, ქალი — ინსპექტორის დანახვამ ერთბაშად მაინც გააოცა ბევრი ჩვენი თანამოქალაქე, თავად გოგონებმაც არაერთი დაბრკოლება გადალახეს, ახლაც ბევრ წინააღმდეგობას ხვდებიან, მაგრამ არჩეული გზის ერთგულება, პროფესიის სიყვარული ყველაფერს იოლად ასატანს ხდის.

ისინი შვიდნი არიან: ნონა ძნელაძე, ნანა რევაზიშვილი, ლამარა ბაქრაძე, თინათინ კახაძე, ლიანა ჩაჩანიძე, კარინა მკრტიჩიანი და ნათელა კუკჩიშვილი.

— ზოგჯერ გააჩერებ მანქანას, ცდილობ დაარწმუნო მძღოლი, რომ დაარღვია მოძრაობის წესი, პასუხად კი უშვერ სიტყვებს გაიგონებ... — გულდაწყვეტილი ამბობს ნათელა.

— ასეც ხდება, მაგრამ უფრო ხშირად მაინც სჯერათ ჩვენი. ასე რომ არ იყოს, ძალიან გაგვიჭირდებოდა, — საუბარში ერევა ნონა.

— ჩვენი ტრასა კომკავშირულია, სამი საგუშაგო გვაქვს. წინათ აქ ხშირად არღვევდნენ მოძრაობის წესებს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები და მე-18 პოლიკლინიკის თანამშრომლები. ახლა ფეხით მოსიარულეები მხოლოდ მათთვის განკუთვნილ გადასასვლელებზე გადადიან და ავარიების რიცხვმაც იკლო. ჩვენს ტრასაზე წლეულს მხოლოდ ოთხი საგზაო შემთხვევა აღირიცხა, — აგრძელებს საუბარს ნანა.

— როგორ იქცევიან მშვენიერი სქესის მძღოლები? — ვეკითხები გოგონებს.

— თქვენ წარმოიდგინეთ, არ ჭირვეულობენ. — მპასუხობს ყველაზე ენაწყლიანი ნონა ძნელაძე. — რასაკვირველია, უმიზეზოდ არავის ვაჩერებთ. ისინიც გვეპუებიან. იქნებ ვინმესთვის პარადოქსია, მაგრამ მანდილოსნები ნაკლებად არღვევენ მოძრაობის წესებს. პირადად ჩემთვის კი ქალი საჭესთან არაჩვეულებრივი ჰარმონიაა...



გოგონებს სპორტიც უყვართ. ლამარა ბაქრაძე და თინათინ კახაძე ყოფილი მძლეოსნები არიან, კარინა მკრტიჩიანი — ტანმოვარჯიშე, ნათელა კუკჩიშვილი ქალაქის ყოფილი ჩემპიონია 100 მეტრზე რბენაში, ახლა კი კარატეში ვარჯიშობს.

... ქალაქის ცენტრში, სასტუმრო „აჭარიდან“ ვაჟა-ფშაველას გამზირის დასაწყისამდე ყოველდღე შეხვდებით მილიციის ფორმაში გამოწყობილ სანდომიანი სახის გოგონებს, კეთილი თვალებით და სათნო ღიმილით რომ მიგაცილებენ, ბედნიერ მგზავრობას და შინ მშვიდობით დაბრუნებას გისურვებენ.

**ნ. მირიანაშვილი.**

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე: მილიციის ზემდეგი ნათელა კუკჩიშვილი.**
**ა. კოტორაშვილის ფოტო.**

# 6 გუნდის მონაწილეობით

**ხვალ** „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში იწყება სსრ კავშირის 1984 წლის პირველობა ხელბურთში I ლიგის ქალთა გუნდებს შორის. მასპინძლებთან, თბილისის „ბურევესტნიკთან“ ერთად, თბილისის ტურში მონაწილეობას მიიღებენ კიევის „ავტომობილისტი“, ტაშკენტის „ტექსტილშჩიკი“, სვერდლოვსკის „კალინინეცი“, ბელგოროდის „ბურევესტნიკი“, კიშინიოვის „სხოტმაში“.

გთავაზობთ პირველი დღის გათამაშების განრიგს:

15.00 საათზე — „ბურევესტნიკი“ (ბელგოროდი) — „ტექსტილშჩიკი“ (ტაშკენტი).

16.30 სთ — „კალინინეცი“ (სვერდლოვსკი) — „სხოტმაში“ (კიშინიოვი).

18.00 სთ. — „ავტომობილისტი“ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი).

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის. 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე — 07919